24-29 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორმა გიორგი გიგილაშვილმა წაიკითხა ლექციათა კურსი შჩეცინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (პოლონეთი) სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ERASMUS+1 KA107 პროგრამის („უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა პარტნიორ ქვეყნებს შორის“) ფარგლებში. ლექციების თემატიკა ეხებოდა ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის აქტუალურ საკითხებს.

მობილობის ფარგლებში, ასევე, შედგა შეხვედრები ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორ კჟიშტიფ პენკალას, ვოიცეჰ ჰლევიცკის, მარჩინ ციოლკოვსკი და ERASMUS პროექტების კოორდინატორ, ქალბატონ აგატა ბრუსკასთან. სამუშაო შეხვედრებზე განხილული იყო სტუ-ს და შჩეცინის ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე და მომავალი პროექტების განხორციელების საკითხები.